



საქართველო

Deloitte Legal

17 ნოემბერი 2021

საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

სახელმწიფო ინსპექტორმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხა დაამტკიცა

2021 წლის 21 ოქტომბერს სახელმწიფო ინსპექტორმა N11 ბრძანების საფუძველზე დაამტკიცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების სია, რომელიც მსოფლიოს 48 ქვეყნისაგან შედგება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის 41-ე მუხლის თანახმად, მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა დასაშვებია სახელმწიფო ინსპექტორის სპეციალური თანხმობის გარეშე, თუ გადაცემა ხდება იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.

სახელმწიფო ინსპექტორის N11 ბრძანებამ ჩაანაცვლა ამავე საკითხზე 2014 წლის 16 სექტემბერს მიღებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის №1 ბრძანება. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი ბრძანებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების სიას დაემატა იაპონია.

ცვლილებები საქართველოს ტყის კოდექსში

2021 წლის 2 ნოემბერს პარლამენტმა ტყის კოდექსში შესატან ცვლილებებს პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა.

კანონპროექტის თანახმად ცვლილებები შეეხება ტყის სტატუსის შეწყვეტასა და ტყის სტატუსის დაბრუნებას, ასევე, მოვლით, სანიტარიულ და სარეკონსტრუქციო ჭრასთან დაკავშირებულ საკითხებს.

არსებითად იცვლება ტყის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები. კერძოდ, ტყის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ საკურორტო-რეკრეაციული მიზნით ტყით სარგებლობის შემთხვევაში.

წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტით, ზუსტდება, რომ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, შესაძლებელი იქნება ტყის საზღვრების კორექტირება.

ცვლილებებით შემოთავაზებულია ტყით სარგებლობის ისეთი ახალი სახე რომელიც ეხება მეფუტკრეობის განვითარებას, რაც გულისხმობს დაინტერესებული პირებისთვის ან ადგილობრივი მოსახლეობისთვის აუქციონის გარეშე, პირდაპირი წესით სატყეო ტერიტორიის გადაცემას.

ცვლილებები ასევე აწესრიგებს ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობისა და აკვაკულტურის ლიცენზიის ფარგლებში ტყით სარგებლობის საკითხებს.

საქართველოს კანონი ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ

2021 წლის 2 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ.

კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისთვის ან მისი ნაწილისთვის ქარსაფარი ზოლის სტატუსის მინიჭებასა და შეწყვეტასთან, ქარსაფარი ზოლის აღრიცხვასთან, აღდგენასთან, გაშენებასა და მართვასთან და ქარსაფარი ზოლით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

ქარსაფარი ზოლი კანონში განმარტებულია, როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ან მის ნაწილზე ხელოვნურად გაშენებული მერქნიანი მცენარეების (ხეების) მწკრივი, რომელიც იცავს მიწას ძლიერი ქარისა და ეროზიისგან.

კანონის მიზანია, ქარსაფარი ზოლის სამართლებრივი სტატუსისა და მართვის ღონისძიებების განსაზღვრით ხელი შეუწყოს ნიადაგის ქარისმიერი ეროზიისგან დაცვას და მისი ნაყოფიერებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.

ქარსაფარი ზოლის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო. ქარსაფარი ზოლის საზღვრები რეგისტრირდება უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში. ქარსაფარ ზოლზე საკუთრება განუყოფელია მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებისგან.

ახალი კანონი ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ ძალაში შედის 2021 წლის 20 ნოემბერს.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 330 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.